RUSSO-OTTOMAN WARS IN THE 19TH CENTURY AND ABKHAZIA
რუსეთ-ოსმალეთის ომები XIX საუკუნეში და აფხაზეთი

JEMAL KARALIDZE
Doctor of History, Professor of Batumi
Shota Rustaveli State University, N35 E. Ninoshvili st.
Batumi, Georgia +995 577179770, jemal.karalidze@bsu.edu.ge
https://orcid.org/0000-0002-7179-0455

Abstract. One of the most important problems of modern Georgian statehood is the reintegration of the indigenous historical part of Abkhazia. To solve this issue, first of all, it is necessary to conduct an objective and in-depth study of the aspects of political, socio-economic, demographic, and cultural-religious development of this region. From this point of view, the history of Abkhazia in the 19th century is a defining period, when after a long rivalry between Russia and the Ottomans, the fate of the principality of Abkhazia was decided. Soon this was followed by the mass emigration process of the tragic event of the Abkhazian nation with the concerted action of the empires. The Russo-Ottoman wars of the 19th century and the events that took place in Abkhazia during their course were touched upon by many historians from different angles.

Since the 16th century, the Ottoman Empire and Iran, which have been competing for influence in the Caucasus, have a new rival in the form of a strengthened Russia. Russia had great military-strategic and economic interests in the Black Sea and the Caucasus. He took advantage of the difficult situation of the Caucasian people, who could not repel the aggressors with their forces and necessarily thought of finding a common protector or protector. Russia, which had not yet shown its true face, was perceived as such an ally. The Georgian kingdoms, in particular the Kingdom of Kakheti, showed exceptional activity in their relations with Russia. During the 16th-18th centuries, Russia gradually became stronger, while its rivals became weaker, which was followed by the conquest of the kingdoms of Kartl-Kakheti, and soon Imereti, using very favorable international conditions at the beginning of the 19th century. Such a development of events led to a revision of the orientation of the principality of Abkhazia under Ottoman rule. Chief Kelesh-Beg Sharvashidze applied to Russia in 1806 for protection. Ottomans did not want to lose their influence in such a strategic region and used all measures to preserve it. Both sides tried to multiply supporters and gain success based on them. All this made the situation in Abkhazia very tense, confrontations started even in the princely house, which resulted in some tragic incidents. Events in Abkhazia became dramatic during the Russo-Ottoman wars, and four such wars broke out in the 19th century. Rivals did not shy away from anything, the scales of victory sometimes tilted to one side, to the other. It should be noted that no one was interested in the fate of the local population, on the contrary, they tried to use them. In the end, Russia won the victory, in which the support of the rest of Georgia played an essential role. Mikheil Sharvashidze, the last head of Abkhazia, was distinguished by his pro-Russian policy. However, this did not prevent tsarism from carrying out a large-scale colonization policy in Abkhazia, which resulted in the emigration of tens of thousands of people of Abkhaz nationality.

Keywords: Russia; Ottoman Caucasus; Abkhazia; colonization; Muhajirs;

ჯემალ კარალიძე
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველო, ბათუმი ე. ნინოშვილის ქ. N35
+995 577179770, jemal.karalidze@bsu.edu.ge
https://orcid.org/0000-0002-7179-0455

აბსტრაქტი. თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას ძირძველი ისტორიული მხარის აფხაზეთის, რეინტეგრაცია წარმოადგენს. ამ საკითხის გადასაწყვეტად უპირველესად აუცილებელია ამ რეგიონის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და კულტურულ-რელიგიური განვითარების ასპექტების ობიექტური და სიღრმისეული შესწავლა. ამ თვალსაზრისით XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორია განმსაზღვრელი პერიოდია, როცა ხანგრძლივი მეტოქეობის შემდეგ რუსეთსა და ოსმალეთს შორის გადაწყდა აფხაზეთის სამთავროს ბედი. მალე ამას იმპერიათა ფაქტობრივად შეთანხმებული მოქმედებით მოჰყვა აფხაზი ერის ტრაგიკული მოვლენის - მასობრივი მუჰაჯირობის პროცესი. XIX საუკუნის რუსეთ-ოსმალეთის ომებს და მათი მიმდინარეობისას აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს სხვადასხვა კუთხით არაერთი ისტორიკოსი შეეხო.

XVI საუკუნიდან კავკასიაში გავლენისათვის დაპირისპირებულ ოსმალეთსა და ირანს ახალი მეტოქე გამოუჩნდათ გაძლიერებული რუსეთის სახით. რუსეთს შავიზღვისპირეთსა და კავკასიაში დიდი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები გააჩნდა. იგი სარგებლობდა კავკასიელი ხალხების რთული მდგომარეობით, რომელთაც არ შეეძლოთ მხოლოდ საკუთარი ძალებით აგრესორთა მოგერიება და აუცილებლად მიაჩნდათ საგარეო მოკავშირისა თუ მფარველის მოძიება. რუსეთი, რომელსაც ჯერ არ ეჩვენებინა თავისი რეალური სახე, სწორედ ასეთ მოკავშირედ აღიქმებოდა. რუსეთთან ურთიერთობაში გამორჩეულ აქტიურობას ქართული სამეფოები კერძოდ კი კახეთის სამეფო იჩენდა. XVI-XVIII საუკუნეების მანძილზე რუსეთი თანდათან ძლიერდებოდა, ხოლო მისი მეტოქეები სუსტდებოდნენ, რასაც XIX საუკუნის დასაწყისში მეტად ხელსაყრელი საერთაშორისო ვითრების გამოყენებით ჯერ ქართლ-კახეთის, ხოლო მალე იმერეთის სამეფოების დაპყრობაც მოჰყვა. მოვლენათა ასეთმა განვითარებამ ოსმალეთის ქვეშევრდომობაში მყოფი აფხაზეთის სამთავროს ორიენტაციის გადასინჯვა გამოიწვია. მთავარმა ქელეშ-ბეგ შარვაშიძემ 1806 წელს მფარველობაში მიღების თხოვნით რუსეთს მიმართა. ოსმალეთს ასეთ სტრატეგიულ რეგიონში გავლენის დაკარგვა არ სურდა და ყველა ზომას მიმართავდა მის შესანარჩუნებლად. ორივე მხარე ცდილობდა მომხრეთა გამრავლებას და მათზე დაყრდნობით წარმატების მოპოვებას. ყოველივე ამან ძალიან დაძაბა ვითარება აფხაზეთში, თვით სამთავრო სახლში დაიწყო დაპირისპირებები, რასაც არაერთი ტრაგიკული შემთხვევაც მოჰყვა. მოვლენები აფხაზეთში დრამატულ ხასიათს იძენდა რუსეთ-ოსმალეთის ომების პერიოდში, XIX საუკუნის მანძილზე კი ოთხი ასეთი ომი გაჩაღდა. მეტოქეები არაფერს ერიდებოდნენ, გამარჯვების სასწორო ხან ერთ, ხან მეორე მხარეს იხრებოდა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ბედი არცერთს არ აინტერესებდა პირიქით- მათ გამოყენებას ცდილობდნენ. საბოლოოდ გამარჯვება რუსეთმა მოიპოვა, რაშიც არსებითი როლი დანარჩენი საქართველოს მხარდაჭერამ იმოქმედა. რუსეთის მხარდამჭერი პოლიტიკით გამოირჩეოდა აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძეც. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ცარიზმისათვის აფხაზეთში ფართომასშტაბიანი საკოლონიზაციო პოლიტიკა გაეტარებინა, რასაც ათეულ-ათასობით აფხაზი ეროვნების ადამიანის უცხოეთში გადასახლება - მუჰაჯირობა მოჰყვა.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი; ოსმალეთი; კავკასია; აფხაზეთი; კოლონიზაცია; მუჰაჯირობა;

შესავალი. კავკასია, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის გეოსტრატეგიული რეგიონი, უძველესი დროიდან წარმოადგენდა მსოფლიოში გაბატონების მოსურნე ახლო თუ შორეული ქვეყნების პირველხარისხოვან სამიზნეს. XV-XVI საუკუნიდან კავკასიაში გაბატონებისათვის ბრძოლაში დიდ ქვეყნებთან: ოსმალეთთან და ირანთან ერთად აქტიურად ჩაება რუსეთის სახელმწიფოც.

მონღოლთა ბატონობისაგან განთავისუფლებული და გაძლიერებული რუსეთი ესწრაფოდა ყირიმელ თათართა გამუდმებული თავდასხმებისაგან თავისი სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამ პრობლემის გადაჭრა უშუალოდ იყო დაკავშირებული ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და კავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცებასთან.

ამ საკითში რუსეთისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებთან ურთიერთობას, ვინაიდან, ჯერ ერთი, საქართველო ერთიანი მონარქიის დაშლის შემდეგაც კავკასიაში ყველაზე გავლენიან სამხედრო-პოლიტიკურ ძალად რჩებოდა, რომელზე დაყრდნობითაც შეეძლო, როგორც მთლიანად კავკასიაზე გავლენის დამყარება, ისე აღმოსავლეთის საკითში უპირატესობის მოპოვებაც. მეორე მხრივ, ქართული პოლიტიკური ერთეულები მომრავლებული საშინაო თუ საგარეო პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებლად საჭიროებდნენ ძლიერ საგარეო მოკავშირეს. სწორედ ასეთად ესახებოდათ მათ კავკასიით დაინტერესებული ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფო. რუსეთმა კარგად გამოიყენა ეს განწყობილება, ისარგებლა მეტოქეთა დასუსტებით, ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარებით და XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობით კავკასიაზე ჰეგემონობისათვის მყარი საფუძველი შეიქმნა. ოსმალეთი გააფთრებით ცდილობდა შეეკავებინა რუსეთის კავკასიაში წინსვლა, რამაც მხოლოდ XIX საუკუნეში მათ შორის ოთხი ომი გამოიწვია. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ დეტალურად შეგვესწავლა ამ ომების პერიოდში აფხაზეთში განვითარებული მოვლენები თავისი მძიმე შედეგებით, რაც ვფიქრობთ, თანამედროვე კონტექსტითაც ძალზე აქტუალურია.

მეთოდები. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: წყაროს ანალიზი, შედარებით-ისტორიული, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, აბსტრაქტია, კონტენტ ანალიზი, სისტემური ანალიზი.

შედეგები. XIX საუკუნის რუსეთ-ოსმალეთის ომებისა და ამ ომების მსვლელობაში აფხაზეთში განვითრებული მოვლენების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი საყურადღებო ნაშრომი მოგვეპოვება. ჩვენს მიერ წარმოდგენილ სტატიაში საარქივო და პრესის მასალებზე დაყრდნობით, არსებული ისტორიოგრაფიის გათვალისწინებით შევეცადეთ შეგვესწავლა XIX საუკუნეში რუსეთ-ოსმალეთის ომების პროცესში აფხაზეთის საკითხის აქტუალობა, გამოგვეკვეთა მეტოქე ქვეყნების ინტერესები და მიზნები, მათი განხორციელების გზები და მეთოდები, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება და მონაწილეობა ამ მოვლენებში, საერთოდ ქართული საზოგადოების დამოკიდებულება აფხაზეთში განვითარებული მოვლენებისადმი, გვეჩვენებინა აღნიშნული მოვლენების შედეგები და შეგვეფასებინა იგი.

კავკასიაზე გავლენისათვს უხსოვარი დროიდან არაერთი მეტოქე ერკინებოდა ერთმანეთს. XV-XVI საუკუნეებიდან, გეოსტრატეგიულად ამ მართლაც მნიშვნელოვან რეგიონში ერთმანეთს სამი ძლიერი სახელმწიფო: ოსმალეთი, ირანი და რუსეთი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. რუსეთმა გამოიყენა რა ყველა შესაძლებლობა: კავკასიელთა პრობლემები და მისდამი განწყობილება, მეტოქეთა დასუსტება, ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება, XIX საუკუნის დამდეგისათვის კავკასიაში პირველობისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ოსმალეთი დაჟინებით ცდილობდა არსებული პოზიციების შენარჩუნებას. სწორედ ამან განაპირობა XIX საუკუნის მანძილზე ოსმალეთ-რუსეთის მძაფრი დაპირისპირება, რასაც მათ შორის 1806-1812 წწ., 1828-1829 წწ., 1853-1856 წწ. და 1877-1878 წწ. ომები მოჰყვა. აფხაზეთის სამთავრო სახლი მაქსიმალურად ცდილობდა შეენარჩუნებინა სუვერენიტეტი თუნდ შეზღუდული სტატუსით მაინც. მაგრამ აშკარა გახდა ომებში გამარჯვებული რუსეთის ინტერესები: მას კავკასიაში (და ცხადია - აფხაზეთშიც) დინასტიური მმართველობის სამთავროს არსებობა

არ სჭირდებოდა - მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი დამოკიდებული იყო ვითარების ხელსაყრელობაზე. აღმოჩნდა, რომ უშუალოდ აფხაზეთში რუსეთს განსაკუთრებული კოლონიური ინტერესები გააჩნდა, რაც აშკარად შეუსაბამო იყო ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებთან. სურდა რა შავიზღვისპირეთის ეს მნიშვნელოვანი რეგიონი თავის განუყოფელ ნაწილად ექცია, რუსეთისათვის მიუღებელი იყო განსხვავებული ეთნოსის, კულტურისა და რელიგიის მკვიდრი მოსახლეობის არსებობა. სწორედ ეს გახდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში მშობლიური ადგილებიდან აფხაზების აყრისა და ოსმალეთში გადასახლების - მუჰაჯირობის ძირითადი მიზეზი.

დისკუსია. XVI საუკუნეში მოსკოვის სახელმწიფოს მიერ წარმოებული მრავალრიცხოვანი ომების მიზანი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებასთან ერთად გავლენის სფეროების გაფართოებაც იყო. ,,XVI საუკუნე რუსეთისათვის იყო სისხლისმღვრელი ბრძოლების საუკუნე, რათა დაეცვა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. რუსეთის წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემები იყო: ბალტიისპირეთის, პოლონეთ-ლიტვის, ყაზანის, ასტრახანის და ოსმალეთ-ყირიმის ... ამ პრობლემების გადაჭრა დასრულდა ეკატერინე II მმართველობაში (XVIII ს.), მაგრამ საფუძველი ჩაეყარა სწორედ მაშინ, XVI ს-ში“ (Андреев, 2002:150). ოსმალეთის მიზანი კავკასიის დაპყრობა, კასპიისპირეთში გასვლა და ცენტრალური აზიის თურქულენოვან ხალხებთან პირდაპირი კავშირის დამყარება იყო, რაც საფრთხის ქვეშ დააყენებდა არამარტო რუსეთის სამხრეთის საზღვრების უსაფრთხოებას, არამედ მის სახელმწიფოებრიობასაც. ამდენად რუსეთის სწრაფვა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და კავკასიაში დასამკვიდრებლად განპირობებული იყო როგორც სავაჭრო-ეკონომიკური, ისე სამხედრო-სტრატეგიული ინტერესებით.

კავკასიის ხალხთა მზარდი ინტერესი რუსეთისადმი გამოწვეული იყო შემდეგი ფაქტორებით: XV ს. მეორე ნახევარში საქართველოს ერთიანი მონარქიის დაშლის შემდეგ კავკასიაში აღარ არსებობდა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელიც შეძლებდა ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის აგრესიის შეჩერებას. კავკასიის ხალხები ვერ ახერხებდნენ მხოლოდ საკუთარი ძალებით წინ აღდგომოდნენ საგარეო საფრთხეს, შექმნილი ურთულესი სიტუაციიდან ერთადერთ რეალურ გამოსავალს ისინი საგარეო მოკავშირის ან მფარველის მოძიებაში ხედავდნენ. სწორედ ამიტომ რუსეთსა და კავკასიის ხალხთა ინტერესები ამ ეტაპზე ემთხვეოდა ერთმანეთს, რამაც განსაზღვრა კიდეც მათ შორის მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობების დამყარება XVI ს-ში. რუსეთმა კავკასიის მიმართულებით დიდ წარმატებებს მიაღწია XVI ს. 50-იან წლებში. ყაზანისა და ასტრახანის სახანოების დაპყრობის შემდეგ, 1557 წელს, რუსეთის მფართველობაში შევიდა ყაბარდოს სამთავრო, რამაც გაზარდა რუსეთის პრესტიჟი (История России, 2003:379). რუსეთის გამოჩენას კავკასიის ასპარეზზე იმედით შეხვდნენ ქართველი პოლიტიკოსები. 1563 წელს კახეთის მეფე ლევანმა მოსკოვში ელჩობა გაგზავნა იაკობის ხელმძღვანელობით, მალე რუსეთმა კახეთში სამხედრო რაზმიც გამოგზავნა. საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად ივანე IV მდინარეების - თერგისა და სუნჯის შესართავთან ციხე ააგებინა (1567 წ.) (ბერძენიშვილი, 1966: 263). კიდევ უფრო ინტენსიური გახდა რუსეთისა და კახეთის სამეფოს ურთიერთობები XVI ს. 80- იან წლებში. ,, სხვა ქართული სამეფოებისაგან განსხვავებით კახეთი ყველაზე ახლოს იყო ასტრახანისაკენ მიმავალ გზებთან, ამიტომ რუსეთსა და საქართველოს შორის დამაკავშირებელ როლს იმჟამად კახეთის სამეფო ასრულებდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973:144). მაგრამ მოვლენათა ასეთი განვითარება არ შედიოდა ირანისა და ოსმალეთის ინტერესებში. მათი აქტიურობით რუსეთის მჭიდრო ურთიერთობა კავკასიელებთან (განსაკუთრებით საქართველოსთან) XVII ს. დასაწყისში გარკვეული პერიოდით შეწყდა. რუსეთისა და

კავკასიელი ხალხების ურთიერთობის თვალსაზრისით გარდამტეხი აღმოჩნდა XVIII საუკუნე.

XVIII საუკუნეში რუსეთმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ,,ამ პერიოდში რუსეთის იმპერია გახდა უდიდესი ევრაზიული სახელმწიფო, ძლიერი არმიითა და ფლოტით" (Россия и Восток, 2002:336). გაძლიერებული რუსეთის ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესები მოითხოვდა მისი პოზიციების განმტკიცებას შავი და კასპიის ზღვების აუზში. ამიტომაც იგი იყო დაინტერესებული საქართველოსთან ურთიერთობის განმტკიცება-გაღრმავებით. ,,რადგან საქართველო ამოდენა რეგიონში ერთადერთ ქრისტიანულ ქვეყანად რჩებოდა, რომელსაც სახელმწიფოებრიობა შენარჩუნებული ჰქონდა და , შესაბამისად , პოლიტიკურ დასაყრდენად გამოდგებოდა. საქართველოს რუსეთისათვის სტრატეგიული პლაცდარმის ფუნქცია უნდა შეესრულებინა წინა აზიაში პოლიტიკურ-ეკონომიკური გაბატონების დასახული ამოცანის განხორციელების პროცესში. სხვა რეალური მოკავშირე , რეალური დასაყრდენი მას ამ რეგიონში არ გააჩნდა" (სამსონაძე,1988:26-27).

რუსეთის გაძლიერების პარალელურად მისი ძირითადი მეტოქეები კავკასიაში - ირანი და ოსმალეთი -სუსტდებოდნენ. განსაკუთრებით მნიშნელოვანი იყო რუსეთის ძირითადი მეტოქის, შავიზღვისპირეთში პირველობისათვის ბრძოლაში ოსმალეთის დასუსტება. ,,XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთის იმპერია იმყოფებოდა უაღრესად მძიმე სოციალურ - ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში (სვანიძე , 2007 :260).

რუსეთის მზარდი ძლიერება ,,გარდაუვალს ხდიდა ,,ძველის" დარღვევას და ,,ახალი" ბალანსის ჩამოყალიბებას კავკასიაში" (Дегоев,2001: 40). გეგმავდა რა საქართველოზე დაყრდნობით ამიერკავკასიაში პოზიციების განმტკიცებას, რუსულმა დიპლომატიამ შეძლო ერეკლე II დარწმუნება რუსეთთან საქართველოს ახლო კავშირის აუცილებლობაში, რის შედეგიც იყო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება. ამ ფაქტმა შეაშფოთა ირანი და ოსმალეთი. რუსეთი, რომელმაც ყირიმი და ჩრდილოეთ კავკასია შეიერთა, ,,საქართველოს დაპატრონებით მთელ კავკასიასაც ჩაიგდებდა ხელში... ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი მთელ კავკასიაში გაბატონდებოდა, ხოლო თუ იგი შეჩერებული არ იქნებოდა, შეიძლება სულაც ირანს დაპატრონებოდა (სოხვაძე, 1990: 244). თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებას ადასტურებს ეკატერინე მეორეს წერილი პავლე პოტიომკინისადმი, სადაც ხაზგასმულია: „ქართული საქმეებისათვის კიდევ ერთხელ გმადლობთ, შენ ჩემი ნამდვილი გულითადი მეგობარი ხარ (ამოდენა საქმეები ასე მოკლე ხანში ?) ევროპის შურიანობას დამშვიდებით შევცქერით, რაც უნდა ის იყბედონ, ჩვენ კი ჩვენს საქმეებს ბრწყინვალედ ვაკეთებთ (Дубровин, 1871:11).

აშკარაა, რუსეთის წარმატებებს კავკასიაში ხელი შეუწყო ევროპის წამყვანი სახელმწიფოების პასიურობამაც. ,,დასავლეთის სახელმწიფოებში XVIII საუკუნის 80-იან წლებშიც სათანადოდ ვერ აფასებდნენ რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის მოსალოდნელ შედეგებს. ამაზე მეტყველებს რუსეთის მიერ ყირიმის უმტკივნეულოდ მიერთება და გეორგიევსკის ტრაქტატის დადებაც" (ჩხეიძე , 2002 :223). რუსეთი დიპლომატიითა თუ იარაღის ძალით მიზანმიმართულად განამტკიცებდა თავის პოზიციებს კავკასიაში.

რუსეთმა ოსტატურად გამოიყენა ქართლ-კახეთში შექმნილი ვითარება და 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით სამეფო გააუქმა.[1] ,,აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო დაეცა არა მარტო როგორც ქვეყნის შინაური კრიზისის მსხვერპლი, არამედ რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის წყალობითაც, რომელიც ძველთაგანვე ესწრაფოდა

[1] 1801 წლის 18 იანვარს გამოქვეყნდა პავლე პირველის მანიფესტი, მაგრამ ის, იმპერატორის მკვლელობის გამო, ძალაში არ შესულა. ქართლ-კახეთის სამეფო რეალურად გაუქმდა ალექსანდრე პირველის მიერ გამოცემული 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით.

ამიერკავკასიისა და მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ხელში ჩაგდებას“ (ცქიტიშვილი, 1982 :40).

ამდენად, XVIII – XIX საუკუნის მიჯნაზე შექმნილი ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების გამოყენებით რამდენიმესაუკუნოვანი მწვავე დაპირისპირება კავკასიაზე გავლენისათვის XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. სამწუხაროდ , კავკასიის პოლიტიკური ერთეულები უფრო დიდი პოლიტიკის ობიექტები აღმოჩდნენ , ვიდრე სუბიექტები (Дегоев 2001: 50).

რუსეთი აქტიურად შეუდგა მთელ კავკასიაში სრული ბატონობის დამყარებას. იგი მოხერხებულად იყენებდა ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულებს შორის დაპირისპირებას. ასე გამოიყენა ცარიზმმა სოლომონ II და სამეგრელოს მთავარს შორის დაპირისპირება და 1803 წ. გრიგოლ დადიანთან ,,მფარველობითი“ ხელშეკრულება გააფორმა.

ოსმალეთის პორტა შეშფოთებით ადევნებდა თვალს მისი მარადიული მტრის მიერ ქრისტიანული სახელმწიფოების შეერთების პროცესს, ხოლო აფხაზეთში ჩატარებულმა რუსულმა ექსპედიციამ, რომლის დროსაც შავი ზღვის სანაპიროზე, ანაკლიაში მდებარე თურქული სიმაგრე აიღეს, თურქეთის მოთმინების ფიალა აავსო (მიუხედავად იმისა, რომ ციციანოვმა სასწრაფოდ გადააყენა მისი ხელქვეითი და ბოდიშიც კი მოიხადა მისი სრულიად უპასუხისმგებლო საქციელის გამო), რაც საბოლოოდ, 1807 წელს, რუსეთ-ოსმალეთის დაუსრულებელ ომებში გადაიზარდა (ბედლი, 2012:109).

XIX დასაწყისში რუსეთის პოზიციების განმტკიცებამ კავკასიაში აფხაზეთის მთავარს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლისაკენ უბიძგა. ოსმალეთის იმპერია ღრმა კრიზისში იმყოფებოდა, რუსეთი კი საქართველოში გავლენას აფართოებდა. ქელეშ ბეგ შარვაშიძე ითვალისწინებდა, რომ ადრე თუ გვიან აფხაზეთის ჯერიც დადგებოდა (ქორთუა, 1964 : 109). 1806 წ. მაისში ქელეშ-ბეგმა რუსეთის ხელისუფლებას მფარველობაში მიღების თხოვნით მიმართა. იმავე დროს აფხაზეთის მთავარი დაუახლოვდა სამეგრელოს სამთავროს. ქელეშ-ბეგის ვაჟი, საფარ-ბეგი, მოინათლა (ნათლობის სახელი გიორგი) და ცოლად გრიგოლ დადიანის და თამარი შეირთო. 1806 წ. ივნისში ქელეშ-ბეგმა რუსეთის მფარველობაში შესვლის საკითხი ლიხნში მოწვეულ სახალხო ყრილობაზე განიხილა, რომელმაც მთავარს მხარი დაუჭირა. 1806 წ. დეკემბერში სულთანმა სელიმ III რუსეთს ომი გამოუცხადა. აფხაზეთში ვითარება დაიძაბა. მთავრის ხელისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო ქელეშ-ბეგის ვაჟმა ასლან-ბეგმა, რომელმაც 1808 წელს მამა მოკლა. რუსეთი აქტიურად ჩაერია მთავრის ხელისუფლებისათვის ბრძოლაში და 1810 წელს ალექსანდრე I საფარ-ბეგ (გიორგი) შარვაშიძე დაამტკიცა აფხაზეთის მთავრად მემკვიდრეობის უფლებით, რუსეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ (дзидзариа, 1988:48-49).

1810 წლის 10 ივლისს რუსეთის დესანტი მძაფრი ბრძოლების შემდეგ, დაამარცხა რა სოხუმის ოსმალური გარნიზონი, ქალაქს დაეუფლა. იმავე წლის ოქტომბერში გიორგი შარვაშიძეს საზეიმოდ გადაეცა სამთავრო ნიშნები, მან დაიფიცა რუსეთის ერთგულებაზე. ამით ოფიციალურად გაფორმდა აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლა (აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევები, 1960:140; დუმბაძე, 1957: 215-223).

ოსმალეთი დაჟინებით ცდილობდა აფხაზეთის დაბრუნებას, რაც კიდევ უფრო ძაბავდა ისედაც რთულ ვითარებას სამთავროში. 1821 წ. გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა. რუსეთის მხარდაჭერით მთავრის ტახტი გიორგის არასრულწლოვანმა ვაჟმა დიმიტრიმ დაიკავა (1821-1822 წწ.), მაგრამ მცირე ხნით, იგი ბიძის, ასლან-ბეგის დავალებით მოწამლეს. რუსეთის მხარდაჭერით მთავარი გახდა გარდაცვლილი მთავრის ძმა მიხეილ შარვაშიძე(1823-1864 წწ.). მიხეილ შარვაშიძის ხელისუფლება მუდმივად განიცდიდა ოსმალური ორიენტაციის მომხრეთა თავდასხებს, რომლებიც კარგად სარგებლობდნენ იმ

სიძულვილით, რომელსაც ცარიზმის პოლიტიკა იწვევდა აფხაზ ხალხში (წურწუმია,2012:116). კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ აფხაზებმა არაერთი აჯანყება მოაწყვეს 1821,1824,1837,1841,1842,1846,1850 წლებში. აქტიური გამოსვლები მოეწყო წებელდაში , დალში, გუმში, ჯგერდაში, ჭლოუში, ფსხუსა და სხვა ადგილებში. მხოლოდ 1846 წ. მთიულებმა აფხაზეთის ზღვისპირეთში განლაგებულ რუსულ სიმაგრეებზე 88 თავდასხმა მოაწყვეს (дзидзариа,1988:196). ანტირუსულ გამოსვლებში აფხაზებს აქტიურად უჭერდნენ მხარს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელები. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებს, რომლებიც რუსეთის წინააღმეგ ხანგრძლივ ომს აწარმოებდნენ, აფხაზეთის სანაპირო და პორტები სასიცოცხლოდ სჭირდებოდათ გარე სამყაროსთან ურთიერთობისათვის. აფხაზეთის არისტოკრატიისა და თავისუფალი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ოსმალური ორიენტაცია გამოწვეული იყო რუსეთის პოლიტიკით, რომელიც აფხაზეთში დამკვიდრებისათვის ხელს უწყობდა სამთავრო სახლისა და მასთან დაახლოებული არისტოკრატიის გაძლიერებას, ასევე ცდილობდა მოსახლეობის ქრისტიანობაზე მოქცევას (წურწუმია, 2012:121).

აფხაზეთში ქრისტიანობის აღორძინების საქმეში აქტიურად ჩაერთო აფხაზ წარჩინებულთა ნაწილი და თვით მთავარი მიხეილ შარვაშიძე. 1849 წლის 14 მარტს მან საქართველოს ეგზარქოსს ისიდორეს წერილი გაუგზავნა აფხაზეთში საარქიეპისკოპოსო კათედრის დაარსების თაობაზე (სცსსა, ფ.545, ა. 1, ს. 314, ფურც. 104-114).

რუსეთის პოლიტიკას, გაეძლიერებინა აფხაზეთში ქრისტიანობა, დაუპირისპირდნენ როგორც ადგილობრივი, ისე თურქეთიდან ჩამოსული მაჰმადიანი სასულიერო პირები. აფხაზთა შორის პროთურქულ და პროისლამურ პროპაგანდას ეწეოდნენ არამარტო მუსლიმი სასულიერო პირები, არამედ თურქეთიდან წლების შემდეგ უკანმობრუნებული აფხაზები (წვერავა, 2003:90). ასეთი მცდელობა გრძელდებოდა XIX ს. ბოლომდე. ამას ადასტურებს კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მმართველისა და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის 1893 წ. სექტემბერში დაწყებული მიმოწერაც (ქცა, ფ. 186, ს. 38, ფურც 1-26).

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ რუსეთი კავკასიაში გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა. 1859 წელს დასრულდა ომი ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში - შამილი დანებდა. ამ ფაქტმა უარყოფითი გავლენა მოახდინა რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთ კავკასიის მთიელთა ბრძოლაზე.

ყირიმის ომის პერიოდში აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ რუსეთს დიდი სამსახური გაუწია, რისთვისაც იმპერატორმა იგი თეთრი არწივის ორდენით დააჯილდოვა, მიუხედავად ამისა 1856 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ნ. მურავიოვმა ყირიმის ომის დროს თითქოს მიხეილ შარვაშიძის ღალატის გამო აფხაზეთის სამთავროს გაუქმების თაობაზე შუამდგომლობა აღძრა, მაგრამ იმპერატორმა ეს შუამდგომლობა არ მიიღო. რადგან ომი ჩრდილოეთ კავკასიაში გრძელდებოდა, კავკასია დასაპყრობი იყო, ამიტომ ცარიზმს მიხეილ შარვაშიძე ჯერ კიდევ სჭირდებოდა. იმპერატორმა აფხაზეთის მთავრის ღალატი არ სცნო დამტკიცებულად და ეს საქმე კვლავ მიყუჩდა (ხორავა, 2004:46). მაგრამ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ ვითარება შეიცვალა. „მრავალწლიანი ომი, რომელსაც აწარმოებდა რუსეთი კავკასიის დამორჩილების მიზნით, დასრულდა. მისი ერთ-ერთი შედეგი იყო მთიელთა მასობრივი გადასახლება თურქეთში (მუჰაჯირობა - ჯ.კ.), რომელიც გადასახლებულთათვის ეროვნულ ტრაგედიად გადაიქცა (История внешней политики России, 1999:67). რუსეთის ხელისუფლებას უკვე ჰქონდა შემუშავებული კავკასიის კოლონიზაციის გეგმა, რომელიც შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე კაზაკების დასახლებას ითვალისწინებდა. აღნიშნულის განხორციელება მთავრის ხელისუფლებისა და მიწისმფლობელი მკვიდრი მოსახლეობის არსებობის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა (дзидзариа,1982:250-252) ამიტომ ალექსანდრე II მიიღო

აფხაზეთის მთავრის განთავისუფლებისა და აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოღების გადაყვეტილება (სცსსა, ფ. 416, ა. 3, ს. 177, ფურც. 48). თუ რეალურად რა მიზნები ჰქონდა ცარიზმს აფხაზეთში ნათელს ხდის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის დ. სვიატოპოლსკ-მირსკის კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის კარცოვისადმი 1864 წ. გაგზავნილი წერილი: ,,თუ აფხაზების ნაწილი სამთავროს გაუქმების შემდეგ თურქეთში გადასახლებას მოისურვებს, ჩვენ ამას ხელი არ უნდა შევუშალოთ“ (ჯანაშია, 1988:7). რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთში არც ამის შემდეგ შეცვლილა. სოხუმის ოკრუგის უფროსი 1900 წელს ქუთაისის გუბერნატორს მიმართავდა: ,,რუსეთის კოლონიზაციას მხარეში (აფხაზეთში - ჯ.კ.) პოლიტიკური თვალსაზრისით აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. მით უფრო, რომ აფხაზები, როგორც ოკრუგის ძირითადი მოსახლეობა, დღემდე რჩება უკიდურესად დაბალკულტურულ ეროვნებად განვითარების დონით, მერყევია რელიგიური რწმენით, არაერთხელ გამოავლინა თავისი პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობა... ეს მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, საუკეთესო საშუალებად უნდა ვცნოთ მხარის კოლონიზაცია რუსი მოსახლეობით“ (ქცა, ფ. 186, ა. 1, ს. 69, ფურც. 11-12).

1864 წ. 12 ივლისს რუსეთმა აფხაზეთის სამთავრო გააუქმა. მთავარი მიხეილ შარვაშიძე, რომელმაც თავის დროზე რუსეთს დიდი სამსახური გაუწია, ვორონეჟში გადაასახლეს. იგი 1866 წ. გარდაიცვალა, ანდერძისამებრ აფხაზეთში ჩამოასვენეს და მოქვის ტაძარში დაკრძალეს (ხორავა, 2011:280-284).

აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ შექმნეს სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომელიც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაუქვემდებარეს. მოხელეთა მხრიდან ადგილობრივთა თავისებურებისა და ინტერესების გაუთვალისწინებლობამ აფხაზი მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი აჯანყდნენ. აჯანყება 1866 წ. 26 ივლისს სოფ. ლიხნში დაიწყო. ხელისუფლებამ სასწრაფო ღონისძიებები მიიღო აჯანყების ჩასახშობად. აჯანყების შემდეგ გაჩნდა აფხაზთა თურქეთში გადასახლების „დასაბუთება“. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი მიუთითებდა: ,,არსებობს მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება სოხუმის განყოფილების მხრიდან ყოველგვარი საშიშროების აღმოსაფხვრელად, ესაა აფხაზეთის მოსახლეობის თურქეთში გადასახლება“ (სცსსა, ფ. 545, ა. 1, ს. 91, ფურც. 23).

რუსეთის ხელისუფლებამ მონდომებით შეადგინა აფხაზთა გასახლების გეგმა. განისაზღვრა 4500 ოჯახის გასახლება. ამ საკითხში რუსეთმა ოსმალეთთან საერთო ენა გამონახა. რუსეთისა და ოსმალეთის თანამშრომლობა აფხაზებისა და სხვა კავკასიელი ხალხების მუჰაჯირობის საქმეში შემთხვევითი არ ყოფილა. თუ რუსეთი აბორიგენი მოსახლეობის გასახლებით კოლონიზაციის საქმეს ,,აწესრიგებდა“, თურქეთს სურდა მთიელები დაებინავებინა დაუსახლებელ და ნაკლებად დასახლებულ ადგილებში, აეთვისებინა ის ტერიტორიები, თანაც რუსეთის საზღვრისპირა რაიონებში. ამ კონტინგენტს სულთანი გამოიყენებდა როგორც იმპერიაში მიმდინარე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად, ისე რუსეთის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში (აჩუგბა, 1988:15).

აფხაზთა გადასახლების პირველი ტალღა განხორციელდაა 1867 წელს. მთავრობამ ,,გეგმა“ ბოლომდე მაინც ვერ შეასრულა - დაგეგმილი 4500 ოჯახის ნაცვლად ოსმალეთში გადასახლდა 3358 ოჯახი, 19.342 სული (სცსსა, ფ. 545, ა. 1, ს. 91, ფურც. 205-250; ხორავა, 2011:73). სამწუხაროდ, აფხაზთა გადასახლების პროცესი ამით არ დასრულებულა.

აფხაზეთის საკითხი კვლავ აქუალური გახდა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის პერიოდში. XIX საუკუნის 70-იან წლებში ბალკანეთის პრობლემის გამწვავებამ რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი გარდაუვალი გახადა. რუსეთი ტრადიციულად მხარს უჭერდა ბალკანეთის სლავი ხალხების განმათავისუფლებელ

ბრძოლას. 1875 წელს ბალკანეთზე დაწყებულ აჯანყებას ოსმალებმა მკაცრი დამსჯელი ღონისძიებებით უპასუხეს. რუსეთი აჯანყებულთა „დასაცავად“ გამოვიდა. ქართული პრესა, კერძოდ კი „ივერია“ და „დროება“ განსაკუთრებული ყურადღებით მიმოიხილავდა ბალკანეთის საკითხის ირგვლივ შექმნილ ვითარებას, მისდამი ევროპის დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულებას. „დროება“ მოწინავეში - „ომის საქმე“, წერდა: „ოსმალეთი არც ერთ იმ წინადადებაზე არ დათანხმებულა, რომელიც სტამბოლის კონფერენციამ წარუდგინა...ვერა გააწყო რა... კონფერენციის დაშლა მოასწავებს იმას, რომ რუსეთი და ოსმალო ახლა თავის ნებაზედ იქნებიან მიშვებულნი, შეუძლიათ პირდაპირ ომი გამოუცხადონ ერთმანეთს...“ (დროება, N14, 12 იანვარი 1877).

თუ როგორი პოზიცია უნდა დაეჭირა ქართველობას მოსალოდნელი ომის დროს, ამასთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძე წერდა: „ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარ საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევირცხვენთ დღემდე პატივცემულს სახელს... ნუ დავიმალვით სოროში. ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს და მტერსა და მოყვარეს დაანახებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდების და კეთილდღეობის ღირსია“ („დროება“ N37, 6 აპრილი 1877). ე.ი მოსალოდნელ ომში ქართველი საზოგადოება, იმედოვნებდა რა ოსმალთაგან მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას, მზად იყო მხარი დაეჭირა რუსეთისათვის.

როცა 1877 წელს რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი დაიწყო, ცარიზმის პოლიტიკით უკმაყოფილო აფხაზი მოსახლეობა აჯანყდა. ცხადია, ასეთ შემთხვევას ოსმალეთი ხელიდან არ გაუშვებდა .

ოსმალეთის სამხედრო გემებს, რომლებიც ბომბავდნენ რუსეთის სანაპირო სიმაგრეებს, ახალ-ახალი ნაწილები გამოჰყავდათ ბრძოლის ველზე და შეუფერხებლად ამარაგებდნენ არმიას იარაღით და სურსათ-სანოვაგით. რუსეთის სამხედრო ფლოტი საქართველოს სანაპირო ზოლისა და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროების დაცვას ცდილობდა. 1877 წლის აპრილში, აფხაზეთის სანაპიროებთან ოსმალური ესკადა გამოჩნდა. მაისის განმავლობაში, გუდაუთასთან და ბიჭვინთის სანაპიროზე ოსმალო ასკერებთან ერთად აფხაზი და ჩერქეზი მუჰაჯირებისაგან შემდგარი რაზმებიც გადმოსხდნენ (Мегрелидзе,1955:54-56). ოსმალთა ერთ-ერთ სარდალს, წარმოშობით ოს მუსა კუნდუხოვს, აფხაზური წარმომავლობის ოცდაათამდე ოფიცრისაგან შემდგარი ამალა ახლდა. მთლიანად აფხაზეთში, ზოგიერთი მონაცემით, სამი ათასამდე მუჰაჯირი მონაწილეობდა ბრძოლებში. მუჰაჯირებმა მოსახლეობაში დასარიგებლად ჩამოიტანეს ოსმალეთის არმიის შეიარაღებაში არსებული 30 ათასი შაშხანა (წურწუმია, 2012:177).

ოსმალური დესანტის გადმოსხმის დღეებში გუდაუთაში აფხაზთა სახალხო ყრილობა გაიმართა, რომელშიც ათი ათასამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. შეკრებილებს მიესალმა ოსმალეთის სარდლობის წარმომადგენელი მაჰმუდ ფაშა, რომელმაც აფხაზებს საზეიმო ვითარებაში გააცნო სულთნის ფირმანი.

აფხაზეთში მუჰაჯირთა აქტიურობამ ოსმალეთის ხელისუფლების მოწონება გამოიწვია. ოსმალეთში თვლიდნენ, რომ რუსები იძულებულნი გახდებოდნენ დაწყებული აჯანყების გამო, მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები გადაესროლათ აფხაზეთში. ოსმალეთი აფხაზეთში სამხედრო მოქმედებებს „თვალის ახვევის, შეცდომაში შეყვანის ოპერაციად“ განიხილავდა, რომელსაც იქ რუსეთის მნიშვნელოვანი ძალები უნდა შეებოჭა და სხვა ფრონტებზე მათი გადასროლა დაებრკოლებინა (წურწუმია, 2012:178). ოსმალთა სარდლობისათვის ერთგვარ მოულოდნელობად იქცა, რომ რუსეთს საომარი მოქმედებების აფხაზეთის მონაკვეთი შედარებით სუსტად ჰქონდა დაცული. ამიტომაც რუსეთის სამხედრო ნაწილებმა ვერ შეძლეს ოსმალებისათვის, რომელთაც აფხაზთა მნიშვნელოვანი ნაწილიც უჭერდა მხარს, სათანადო წინააღმდეგობის გაწევა. როცა 29

აპრილს გუდაუთასთან აფხაზ მუჰაჯირთაგან დაკომპლექტებული დესანტი გადმოსხა. სოხუმის გარნიზონის უფროსმა გენერალმა პ. კრავჩენკომ მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვნების გამო ბრძოლის გაგრძელება ვერ გაბედა , სოხუმი დატოვა და კოდორისაკენ დაიხია [ხორავა, 2004:79]. აპრილ-მაისში ოსმალებმა, რომელთაც აჯანყებული აფხაზებიც შეუერთდნენ, თითქმის მთელი აფხაზეთი დაიკავეს. მაგრამ ეს დროებითი აღმოჩნდა. ივლისში რუსეთის ჯარი შეტევაზე გადავიდა.

ივლისის დასაწყისში გენერალმა ალხაზოვმა საერთო იერიშის ბრძანება გასცა. ენგურის რაზმმა, სამეგრელოსა და სამურზაყანოს მილიციელთა მხარდაჭერით, შეტევა განახორციელა ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე და 19 ივლისს სოფ. ჯგერდას მიაღწია. აფხაზებმა მდ. კოდორამდე დაიხიეს. ენგურის რაზმი მდ. მოქვის მარჯვენა მხრიდან ზღვისკენ დაეშვა და ამბოხებული სოფლები დაარბია. ოჩამჩირეში დაბანაკებულმა ოსმალებმა სასწრაფოდ დაიწყეს ევაკუაცია სოხუმის მიმართულებით. ენგურის რაზმმა მთელი კოდორის უბანი დაიკავა(кавказ 1877:N147). მოსახლეობამ რუსებს მორჩილება გამოუცხადა, მძევლები მისცა და იარაღის ჩაბარებაც დაიწყო (ანჩაბაძე, 2009:194).

ოსმალები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სოხუმის ხანგრძლივად ოკუპაციას, რაც მათი აზრით, უზრუნველყოფდა ფრონტის ამ მონაკვეთზე რუსეთის მნიშვნელოვანი სახმელეთო ძალების დიდი დროით დაკავებას. ეს გარემოება კი ფრონტის სხვა უბნებზე მებრძოლ ოსმალებს უპირატესობის მოპოვების საშუალებას მისცემდა.

რუსული სარდლობა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ადგილობრივი მოსახლეობის მტრული განწყობის განეიტრალებას ცდილობდა. ოსმალები, აფხაზ მუჰაჯირებთან ერთად მნიშვნელოვან სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ, ამიტომაც რუსები ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ აფხაზ მოსახლეობაზე, რომ მათ ხელი აეღოთ ოსმალებისადმი სამხედრო მხარდაჭერაზე(წურწუმია, 2012:184).

კავკასიის არმიის მთავარსარდლის თანაშემწე თავადი დ. სვიატოპოლკ-მირსკი, გენერალ ი. ალხაზანოვისადმი გაგზავნილ წერილში ხაზს უსვამდა სოხუმზე შეტევის დროს აფხაზი მოსახლეობის განწყობის გათვალისწინების მნიშვნელობას. იგი ალხაზანოვს მოუწოდებდა,იარაღის გამოყენებით დაესაჯა ურჩი სოფლები, მაგრამ არ მოეთხოვა მოსახლეობისათვის აჯანყების მოთავეების გადაცემა, რადგან ეს გააძლიერებდა აფხაზების წინააღმდეგობას. ამასთან, ურჩევდა მას არ დაებრკოლებინა თურქებთან ერთად „დამნაშავე აფხაზების“ გაქცევა აფხაზეთიდან.(материали для описания..., 1909:320).

აგვისტოში ოსმალები განდევნეს. მიმავალ ოსმალებს აფხაზთა მცირე ნაწილი სურვილით გაჰყვა, ხოლო უმეტესი აფხაზები, ასევე მცირე რაოდენობით ქრისტიანი ქართველები და ბერძნები ძალით წაუყვანიათ. აფხაზ მუჰაჯირთა შენაერთები, რომლებმაც ოსმალებთან ერთად დატოვეს სოხუმი, კავკასიის ფრონტზე სხვადასხვა უბნებზე გადაისროლეს. მათი ნაწილი ბათუმის მიმართულებით ციხისძირთან რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში ჩაება(„დროება“, N133, 1877).

არსებული ცნობებით 1877 წლის მუჰაჯირობის დროს ოსმალეთში წასულა თითქმის 32 000 ადამიანი, ძირითადად დაცარიელდა აფხაზეთის სანაპირო ზოლი. მუჰაჯირობის შემდეგ გაუკაცრიელებული აფხაზეთი დამთრგუნველი სანახავი ყოფილა (ხორავა, 2004 :82).

ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით ეკიდებოდა აფხაზთა ტრაგედიას. გაზეთი „დროება“ ასე აცნობდა აფხაზთა გასახლების სურათს მკითხველს „აფხაზთა უმრავლესობა, რომელიც მოყვანილი იყო გემებზე ჩასასხდომად და თურქეთში გასამგზავრებლად, ტიროდა, ხელებს იშვერდა, გადაეცით რუსეთის მთავრობას, რომ ჩვენ მივდივართ ჩვენი სურვილის წინააღმდეგ, ძალით მიგვერეკებიან და მთავრობამ ჩაგვთვალოს როგორც ტყვეებიო“ („დროება“ N158:1878)

ოსმალეთში მუჰაჯირად წასული აფხაზები მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ და სცადეს უკან დაბრუნება. რუსეთის ხელისუფლებას არ სურდა აფხაზთა დაბრუნება (სხვათაშორის, აფხაზები ამ თვალსაზრისით არ ყოფილან გამონაკლისი. ასე მოექცა ცარიზმი ადიღ-ჩერქეზებს თუ აჭარიდან წასულ მაჰმადიან ქართველებსაც - ჯ.კ) მართალია, 1879 წლიდან დაუშვეს აფხაზთა ნაწილობრივი რეპატრიაცია სამშობლოში 3 წლის ვადაში, თუმცა მათ აუკრძალეს სოხუმსა და სანაპირო ზოლში დასახლება, ასევე მათ დაუკანონეს „დამნაშავე მოსახლეობის“ სტატუსი, რომელიც აფხაზებს მხოლოდ 1907 წელს მოუხსნეს (ანჩაბაძე, 2009:199).

ამრიგად რუსეთმა, სძლია რა ხანგრძლივ და დაძაბულ დაპირისპირებაში თავის ძირითად მეტოქეს ოსმალეთს, XIX საუკუნის ომების შედეგად გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი რეგიონი, კავკასია დაიქვემდებარა. კავკასიის სხვა ერების ბედი გაიზიარეს აფხაზებმაც. მაგრამ ცარიზმს სურდა ახლად შეერთებული მხარე ეკონომიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისითაც აეთვისებინა, რათა იგი იმპერიის ორგანულ და განუყოფელ ნაწილად გადაექცია. ამისათვის აუცილებელი იყო კავკასიის ფართომასშტაბიანი კოლონიზაცია, ასეთი ინტერესები განსაკუთრებით გამოჩნდა აფხაზეთში. დასახული მიზანი ვერ განხორციელდებოდა თავისუფალი მიწის ფონდის გარეშე. სწორედ ეს იყო კავკასიის არაერთი ერის, მათ შორის აფხაზთა მშობლიური ადგილებიდან აყრისა და ოსმალეთში გადასახლების - მუჰაჯირობის ძირითადი მიზეზი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 416, საქმე 177.

სცსსა, ფ. 545, ს. 91

სცსსა, ფ. 545, ს. 314

ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 186, საქმე 38.

ქცა, ფ. 186, ს. 69

„დროება“ (1877). N14. თბილისი

„დროება“ (1877). N37. თბილისი

„დროება“ (1877). N133. თბილისი

„დროება“ (1878). N158. თბილისი

ანჩაბაძე, გ. (2009), ქართველები და აფხაზები. ისტორია და თანამედროვეობა. თბილისი.

აჩუგბა, თ.,(1988). აფხაზთა დასახლება აჭარაში.ბათუმი.

ბედლი, ჯ.ფ. (2012). რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა.თბილისი.

ბერძენიშვილი, ნ. (1966). საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. III . თბილისი.

დუმბაძე, მ. (1957). დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი.

სამსონაძე, მ. (1988). საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში. თბილისი.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები (1973). ტ. IV . თბილისი

სვანიძე,მ.(2007). თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი.

სოხვაძე, ბ. (1996). რუსეთი მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულსა და მეთვრამეტე საუკუნეში. თბილისი.

ქორთუა ნ. (1964). საქართველო 1806-1812 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში. თბილისი.

ჩხეიძე, ა.(2002). საქართველო რუსეთის , საფრანგეთისა და ინგლისის აღმოსავლურ პოლიტიკაში მე-18 საუკუნის დასასრულს. ქართული დიპლომატია , 9. თბილისი.

ცქიტიშვილი, ზ. (1982). გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. თბილისი.

წურწუმია, ზ. (2012). აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში. თბილისი.

ხორავა ბ. (2004). აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა. თბილისი.

ხორავა, ბ. (2011). აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე. თბილისი.

ჯანაშია, ს. (1988). გიორგი შარვაშიძე. შრომები.VI. თბილისი.

Андреев, А. (2002). История Крыма. Москва.

Дегоев, В.(2001). Большая игра на Кавказе (история и современность). Москва.

Дубровин, Н. (1871) История воин владычество русских на кавказе, т. II, Санктпетербург.

Дзидзария, Г.(1988). присоединение Абхазии к России. Сухуми.

Дзидзария, Г.(1982). мохаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми.

Материалы для описания Русско-Турецкой войны 1877-1878 гг. на Кавказско-Малоазиатском Театре. T.V Составлен в Военно-Историческом отделе при штабе Кавказского военного округа полковником Фон-Климан. Тифлис.

Мегрелидзе Ш. (1955) Грузия Русско-Турецкой войне 1877-1878 гг. Батуми

Очерки истории абхазскои АССР. (1960). ч.1, Сухуми.

,,Кавказъ“. (1882). N 147 .Тифлись.

История России.(2003). т. 1. Москва.

История внешней политики России вторая половина XIX века (1999). Москва.

Россия и Восток. (2002). Санктпетербург.

REFERENCES

sakartvelos tsent'raluri sakhelmts'ipo saist'orio arkivi, pondi 416, sakme 177. [Central State Historical Archive of Georgia, Fund 416, Case 177]

stsssa, p. 545, s. 91 [CSHAG, F. 545, C. 91]

stsssa, p. 545, s. 314 [CSHAG, F. 545, C. 314]

kutaaisis tsent'raluri arkivi, pondi 186, sakme 38. [Central State Archive of Kutaisi, Fund 186, Case 38]

ktsa, p. 186, s. 69 [CSAK, F.186, C.69]

„Droeba“ (1877). N14. Tbilisi [“Droeba” N14]. Tbilisi
„Droeba“ (1877). N37. Tbilisi [“Droeba” N37]. Tbilisi
„Droeba“ (1877). N133. Tbilisi [“Droeba” N133]. Tbilisi
„Droeba“ (1878). N158. Tbilisi [“Droeba” N158]. Tbilisi
anchabadze, g. (2009), kartvelebi da apkhazebi. ist'oria da tanamedroveoba. tbilisi. [Georgians and Abkhazians. Histori and Modernity}. Tbilisi.
achugba, t.,(1988). apkhazta dasakhleba ach'arashi.batumi. [Abkhazians Settlement in Adjara] Batumi.
bedli, j.p. (2012). rusetis mier k'avk'asiis dap'qroba.tbilisi. [Conquest of the Caucasus by Russia]. Tbilisi.
berdzenishvili, n. (1966). sakartvelos ist'oriis sak'itkhebi. t'. III . tbilisi. [Issues of Georgian history. III]. Tbilisi
dumbadze, m. (1957). dasavlet sakartvelo me-19 sauk'unis p'irvel nakhevarshi. tbilisi. [Western Georgian in the first half of the 19th century]. Tbilisi
samsonadze, m. (1988). sakartvelos gaertianebis p'roblema da sagareo orient'atsia XVIII sauk'uneshi. tbilisi. [The problem of unification of the Georgia and Foreign orientation in the 18th century]. Tbilisi.
sakartvelos ist'oriis nark'vevebi (1973). t'. IV . tbilisi [Essays on the History of Georgia. IV]. Tbilisi.
svanidze,m.(2007). turketis ist'oria (1299-2000). tbilisi. [History of Turkey (1299-2000)]. Tbilisi.
sokhvadze, b. (1996). ruseti mechvidmet'e sauk'unis dasasrulsa da metvramet'e sauk'uneshi. tbilisi. [Russia at the end of the seventeenth century and the eighteenth century.]. Tbilisi
kortua n. (1964). sakartvelo 1806-1812 ts'ts'. ruset-turketis omshi. tbilisi. [Georgia in the 1806-1812 yy. Russo-Turkish war]. Tbilisi.
chkheidze, a.(2002). sakartvelo rusetis , saprangetisa da inglisis aghmosavlur p'olit'ik'ashi me-18 sauk'unis dasasruls. kartuli dip'lomat'ia , 9. tbilisi. [Georgia in the oriental policy of Russia, France and England at the end of the 18th century. Georgian Diplomacy.9.] Tbilisi.
tskit'ishvili, z. (1982). garsevan ch'avch'avadzis sakhelmts'ipoebrivi moghvats'eoba. tbilisi. [The statesmanship of Garsevan Chavchavadze]. Tbilisi.
ts'urts'umia, z. (2012). apkhazeti ruset-osmaletis urtiertobebshi. tbilisi. [Abkhazia in Russo-ottoman relations]. Tbilisi.
khorava b. (2004). apkhazta 1867 ts'lis muhajiroba. tbilisi. [Migration of Abkhazians in 1867]. Tbilisi
khorava, b. (2011). apkhazetis samtavros gaukmeba da mikheil sharvashidze. tbilisi. [Abolition of the Principality of Abkhazia and Mikheil Sharvashidze]. Tbilisi.
janashia, s. (1988). giorgi sharvashidze. shromebi.VI. tbilisi. [Giorgi Sharvashidze. Works. VI]. Tbilisi.
Andreev, A. (2002). Ystoryja Kryyma. Moskva. [History of the Crimea]. Moscow.
Degoev, V.(2001). Bol'shaja ygra na Kavkaze (ystoryja y sovremennost'). Moskva. [The Great Game in the Caucasus (history and present)]. Moscow.
Dubrovyn, N. (1871) Ystoryja voyn vladyychestvo russkyh na kavkaze, t. II, Sanktpeterburg. [The history of the warrior dominion of the Russians in the Caucasus. Vol. II] St. Petersburg.
Dzydzaryja, G.(1988). prysoedynenye Abhazyy k Rossyy. Suhumy. [Joining of Abhazia to Russia]. Sokhumi.
Dzydzaryja, G.(1982). mohadzhyrstvo y problemyy ystoryy Abhazyy XIX stoletyja. Suhumy. [Muhajirs and problems of the history of Abkhazia in the 19th century.] Sokhumi.
Materyalyy dlja opysanyja Russko-Tureckoj vojnyy 1877-1878 gg. na Kavkazsko-Maloazyatskom Teatre. T.V Sostavlen v Voenno-Ystorycheskom otdele pry shtabe Kavkazskogo

voennogo okruga polkovnykom Fon-Klyman. Tyflys. [Materials for the description of the Russo-Turkish war of 1877-1878. The Caucasian-Asia Minor theatre. V.] Tbilisi.

Megrelydze Sh. (1955) Gruzyja Russko-Tureckoj vojne 1877-1878 gg. Batumy [Russo-Turkish War of 1877-1878]. Batumi.

Ocherky ystoryy abhazskoy ASSR. (1960). ch.1, Suhumy. [Essays on the history of the Abkhaz ASSR.I.] Sokhumi.

,,Kavkaz#". (1882). N 147 .Tyflys'. ["Caucasus" N147]. Tbilisi.

Ystoryja Rossyy.(2003). t. 1. Moskva. [History of Russia. V.1] Moscow.

Ystoryja vneshnej polytyky Rossyy vtoraja polovyna XIX veka (1999). Moskva. [History of Russia's Foreign policy in the second half of the 19th century]. Moscow.

Rossyja y Vostok. (2002). Sanktpeterburg. [Russia and the East]. St. Petersburg.